

გაზეთის ფასი:

ბაგაჟანთი. ტფილისში	ბაგაჟანთი:
და გარეშე ადგილებში:	— — — 6 მან.
პრისის წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუზაფხენლოთ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახ-ლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ბანცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შსის განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასობით გაზეთის სტრუქტურაზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაზარ.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველ-თვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირდაპირად ნუმრიდან.

რედაქცია უმოკრძილესად სთხოვს „დროე-ბის“ ხელის-მოწერა, რომელთაც გაზე-თის ფული ვერ არ მოუტყაოთ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი: — მმართველობის განკარგულებ-ბა; ქვეყნის კამიტეტის უმაღლესად დამტკიცებული და-წესებულება. — პოლიტიკა. ანგლია. აქსტრია. მს-ვალო. სანდის საქმე. იტალია. შვეიცარია. შერათუ-ბული შტატები. — ტელეგრაფები. — მათი კუკისაგან. საბიბლიოგრაფია ცნობა.

მმართველობის განკარგულება.

ქვეყნის კამიტეტის უმაღლესად დამტ-კიცებული დაწესებულება. მორიგება რკინის გზის გაქვანაზე შოთიდან ტფილისის ქალაქამდე. ამ მორიგების უმათრეს მუხლებს ვადავსწყობს:

§ 1. შოთიდან ტფილისამდე რკინის გზის მოსა-თავებლათ ბარანტე სერ მომასი, ბიორგი ავეუსტ პარკინსი და შრედერიკ პაუერი ლონდონიდან მოვა-ლენი არიან შეადგინონ სააკციო საზოგადოება ქვემო-სხენებულის პირიდან დალითა.

§ 2. საზოგადოების შემდგენლობა გირაოთ უნდა შეიტანონ ხუთასი ათასი მანეთი იმ ბანკში, რომელსაც საფინანსო მინისტრი უჩვენებს. იმათ შემდგომად გან-წესებულის ფულის შეტანა შემდგომის რიგითა; ორას ორმოცდაათი ათასი მანეთი იმავე წაშს, როგორც კი მორიგების წერილი დამტკიცდება და ორას ორმოცდა-ათი ათასი-სამის თვის განმავლობაში იმას შემდეგ, რო-გორც კი გამოცხადდება საზოგადოების შედგენა.

§ 3. მმართველობის მხარუნებლობით დაგებული რკინის გზის ქვეშ-საგები, ხიდები და სხვა გაკეთებუ-ლი გზის მოწყობილობანი იმ მიწებით, რომელიც რკი-ნის გზას მოუწოდებს; გადაეცემა საზოგადოებას, რომე-ლიც მოვალეა გაათავოს თავის ხარჯით რკინის გზის გამართვა შოთიდან ტფილისამდე.

§ 4. მთელი რკინის გზის ხაზი ორას ოთხმოცდა-ხუთ ვერსზე უგრძესად არ უნდა იქნეს და უნდა განი-ყოს სამს ნაჭრად; იმათში ერთი ნაჭერი შეიცავს სიგრ-ძეს შოთიდან მთაწამლამდე ორა დანარჩენის ნაჭრის განსაზღვრა ქვეყნის ნამეტნეობა დამოკიდებული.

საზოგადოებამ უნდა შეასრულოს მთელი რკინის გზის ხაზი და გამართოს იმაზე მგზავრობა სამის წლის გან-მავლობაში იმ დღიდან, როცა მორიგების წერილის პირს მიიღებს მმართველობა; ამასთანავე მორიგების წე-რილის პირს მიღების შემდეგ სამთვეზე აღრე უნდა შე-უდგეს საზოგადოება რკინის გზის მოწყობასა.

რკინის გზის ქვეშ-საგები, ხიდები და სხვა გაკეთე-ბული გზის მოწყობილობანი მმართველობამ სრულათ უნდა გაათავოს 1870 წლის 1-ლს იანვრამდე.

§ 5. საზოგადოებას უნდა ეჭიროს ეს რკინის გზა იმ პირობით, რომელიც მორიგების წერილშია გამოც-ხადებული, ოთხმოც და ერთს წელიწადს. ეს ვადა და-წესება იმ დღიდან, როდესაც რკინის გზაზე გაიმარ-თება მგზავრობა ტფილისიდან შოთამდის.

§ 6. მმართველობა თვითონ გადასწყვეტს დაბოლო-ვებით რა-და-რა ადგილზე უნდა გავიდეს რკინის გზის ხაზი.

§ 13. ეს რკინის გზა საზოგადოებას დაუჯდება 17 მილიონ 650 ათას მანეთად. ეს კაპიტალი უნდა შეს-დგეს 1/5 აქციების გამოცემითა და 4/5 ობლიგაციების გამოცემითა. საზოგადოება შემოსწმენდული ფულიდან

4 მილიონს 210 ათას მანეთს მისცემს მმართველობას იმის ფასათ, რომ მმართველობა გადაეცემს რკინის გზის ქვეშ-საგებს, ხიდებს და სხვა გზის მოწყობილობას.

საზოგადოებას აქვს ნება გამოსცეს თავისი აქციები და ობლიგაციები ფრანკებით, სტერლინგის გირვანქებით მალანდის გულდენებით და პრუსიის ტალერებით.

მთლი გირვანქა სტერლინგი ელირება 25 ფრანკით, 11 გულდენათ და 80 სენტიმ., 6 ტალერათ და 24 ზილბერგრათით.

§ 14. მმართველობამ ყოველ წლივ უნდა უზღოს საზოგადოებას 5% პროცენტი წმინდა მოგება და 1/10% პროცენტი იმ თანხის გადასახდელათ, რომელსაც და-ხარჯავს საზოგადოება, როგორც § 13 ნაჩვენებია.

აკციების და ობლიგაციების პროცენტი წელიწადში ორჯერ უნდა გადახდოს მთავრობამ: 5 აპრილს (ახა-ლი სტილით) პირველი ქვეყნის თვისა და 5 ოქტომ-ბერს მეორე ქვეყნის თვისა.

პოლიტიკა.

ანგლია. ანგლიის პრესა ძალიან ცხარეთ ლაპარაკობს იმაზე, ქალაქს მანჩესტერს რომ ფენიელები მოულოდნელათ დაეცნენ. აქამ-დის ამტკიცებდნენ, რომ ფენიელებისგან აღ-ძრული ხალხის ღელვა მოისპოო. ახლა კი ეს ტყუილი გამოდგა და ამისათვის ანგლიის გაზეთები ძლიერ ჯავრობენ, ისინი ურჩევენ მმართველობას, რომ იმან იხმაროს უკეთესი ანუ ნამდვილი ღონისძიება ამ ბოროტების მო-სასპობლათ. ზაზეთი „Morning — Herald“ ამის შესახებ ამბობს: გამოძიება იმ გეარათ უნდა მოხდეს, რომ გამოჩნდეს ბოროტება საიდგან იწყება. მართლმასაჯულებამ უნდა იმოქმედოს ამ შემთხვევაში სასტიკათ და სა-ქმე დააშუროს.

ამსტრია. პროექტები პოლშის ასა და-გენათ. ამას წინათ რომ პოლშის კაროლის იან სობესკის პატივსაცემათ მენაში დღესასა-წყულობა გადაიხადეს, მის გამო მენის სამინი-სტრო გაზეთში იყო დაბეჭდილი სტატია, რომ-ელიც ითხოვდა პოლშის სამეფოს ადგენას. ამაზე გაზეთმა Nord-მა აი რა შენიშნა: „შნ-და ვითქვით, რომ ახლა აქსტრია შტეიერბს-განაკვირვოს მთელი ქვეყანა მადლობის გა-დანახდით, ისე როგორც სობესკის დროს იმან განაკვირვა მთელი ქვეყანა უმადურობით. (მა-შინ მსმალღო ჯარი შემოადგა მენას და უნ-დოდა ეს ქალაქი აეოხრებინა, პოლშის კა-როლიმა იან სობესკიმ თავის ჯარით იქ მი-აშურა, დაამარცხა მსმალღო ჯარი და სატან-ტო ქალაქი აოხრებისგან დაიფარა. აქსტრი-ის იმპერატორმა ამისთვის მადლობა არ უთ-ხრა პოლშის კაროლს). როგორც სინდისი-ანს მოვალეს შეეფერება, აქსტრიას იმ რიგათ უნდა მადლობა შესწიროს პოლშას იმ სი-კეთისათვის, რომელიც იან სობესკის დროს იმისთვის პოლშას უყვია. პოლშის შემდგომ მიუცილებლათ აქსტრიამ რუსეთსაც მადლო-ბა უნდა შესწიროს, რადგან 1849 წელში ის მტრის ხელიდან გამოიხსნა. ჯერ კი სამინი-სტრო გაზეთი მარტო ლანძღვით ემადრიე-ლება რუსეთსა. ჩვენ მაინც ერთი უნდა ვურ-ჩიოთ სამინისტრო გაზეთსა: თუ აქსტრია ისე ძლიერ ცდილობს პოლშის ადგენას, რატომ მალიციის განთავისუფლებით არ დაიწყებს ამისთანა კეთილს საქმეს? უწინდელის პოლ-

შის საუკეთესო მარა ბალიცია იყო. იმის გა-თავისუფლებით რომ მადლობას შესწიროს, იმისთანა სამადლო საქმეს სხვა ეერაფრით უზამს პოლშასა. ამის გამო ჩვენ არ ვეჭობთ, რომ სამინისტრო გაზეთი მალე დაბეჭდავს იმისთანა სტატიას, რომელიც იმ ურჩევს აქსტრიას, რომ ბალიცია განთავისუფლოს. თუ ეს იმან არ მოიქმედა, მაშინ იმისი თანა-გრძობა პოლშისადმი იქნება ფარისეული.

ოსმალეთი. ბროშურა მსძალეთის შესახებ. ამ ცოტა ხანში დაბეჭდა ბროშურა, რომელსაც თავზე ეს აწერია: „რამდენიმე შე-ნიშვნა მსძალეთზედ“. ამ ბროშურის დამ-წერი ამტკიცებს, რომ მსძალეთის მმართვე-ლობა და თვითონ ოსმალონი მხოლოდ მაშინ შეიძლება, არ დაეცნენ, თუ ქრისტიან-ებს და მაჰმადიანებს შეათანასწორებენ არა უფლებით, არამედ სამსახურით; სახელდობ ყველა გეარის სარწმუნოების აღმსარებელს ქრისტიანებს უნდა გამოერთოთ სალდათი. თუ რომ მსძალეთში ეს ცელილება მართლა მოხდა, — ამბობს ავტორი — მაშინ ბერძნებს სა-ხელმწიფო სამსახურში გზა გაეხსნებათ და დამკაოთილებული თავ-მოყვარება იმათი გა-ძლება და თვითონაც დამშვიდდებიან. ანგ-ლიის გაზეთებს მოსწონთ ამგვარი ცელილე-ბის მომდენი პროექტი.

— **ძანდიის საქმე.** გაზეთის „Ind. Belge“ ძანდიანტინეოლევი კორრე-საოდენტი 8 სექტემბრიდან სწერს შემდგ-ომს: „ღღეს საღამოზედ გენერალი იგნატიე-ვი შირიმში წავიდა. წასვლის წინათ იმან მი-ლო ბიუ — დერში დიდი ვეზირი შუაღ-ფაშა. იგნატიევიმ გადასცა ვეზირს რუსეთის წინადა-დება ძანდიის შესახებ. შუაღ-ფაშამ პი-რათ უთხრა იგნატიევის მსმალღო მმართვე-ლობის უკანასკნელი გადაწყვეტილობა. მა-ღალმა პორტამ სრულებით უარი სთქვა ინ-სურგენტებთან შერიგებანზედ, რადგანაც შე-რაცებობდნენ. დიდმა ვეზირმა შუაღ-ფაშამ ეს უთხრა რუსეთის ელჩს, რომ პორტამ ყუ-რადღებაში მიიღო იმპერატორი ალექსანდ-რეს და სხვა ხელმწიფეების კანდიელების სა-ქმეში მონაწილეობის მიღება და თანახმა გა-ხდა, რომ შერიგებას გზები გაეხსნასო. ამ პირობით იმან მხერ — ფაშას ბრძანება გაუგზა-გნა, რომ ძანდიის ომიანობა შესწყვიტოს, მინამ ახლოს ინსტრუქციებს მიიღებდესო. ამ-ასთან პორტამ გამოაცხადა საყოველთაო ამ-ნისტია და განდგომილებს იარაღის დადება შეუთვალაო. რომ კანდიელებს სხვაგანით შე-მწეობა აღარ მისცენო, იმისთვის კუნძულის ბლოკადი ისევე ისეთი სასტიკი იქნება, როგ-ორც წინ იყო. ძანდიის კუნძულზედ მყოფთ ეოლონტერებს ექვსი კვირა აქეთ ვადათ მი-ცემული; ამ დროს განმავლობაში იმათ დაუ-ბრკოლებლათ შეუძლიანთ შინ წავიდნენო. დიდმა ვეზირმა და უცხო ქვეყნის საქმეთ მინის-ტრმა ჩაგონეს გენერალს იგნატიევის, რომ გადაწყვეტილება სულთანმა მხოლოდ იმისთვის მიიღო, რომ ამით იმას უნდოდა დიდი სახელმწიფოები ესიამოვნებინათ, და ეს გადაწყვეტილება არისო პორტას უკანას-კნელი სიტყვა, ესე იგი, პორტა კანდიელებს მეთს თავისუფლებას არ მისცემსო. მსმალღო

მინისტრებმა შემდგომ ილაპარაკეს იმაზედ, რომ პორტას განზრახვა აქესო, როდესაც კანდიე-ლები დამშვიდდებიან, ომისგან დაარღვეული ეკლესიები და მონასტრები ისევ ააშენოსო, და დასახუქროს ის ქრისტიანები, რომელნიც ომისაგან დაზარალდნენო. მგრეთვე კანდი-ელებს პორტა მიიწევს, მოილაპარაკონ კუნ-ძულის თვითგამგეობის მიცემის შესახებ, რა-მლის ძალითაც კუნძულის მმართველად იქ-ნება ქრისტიანი, სულთანისაგან აღრეული.

იტალია. აი ბარიბალდის უკანასკ-კნელი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა იმის წინა დღეს, როცა რომზე გალაშქრება მოინდომა: „თანაგრძობის გამოცხადებისთ-ვის მადლობელი ვარ. ეს თანაგრძობა ჩემ-თვის ძვირფასია; ეს იმას მიმტკიცებს, რომ, როცა დადგება გალაშქრების ჭამი, ყოველი თქვენთაგანი დანიშნულს ალაგს დაიქვრს და განეშადება იმის დასაცველად. მადლობთ რომის მაგიერათ. როგორც კაცი უთავოთ ვერ იცოცხლებს, ისე იტალიას უ რომოთ გაძლება არ შეუძლიან. მართი ვიკითხოთ, რი-სთვის შერებინან, რომ შიგ რომის მარაში და გარეთა ყვირილით უნდათ ჩააწუმონ შეიდ ბორცვიანი რომის ხმა, რომელიც გვეძახის ჩვენ თავისთან? რომის მარაში რომ ხმაუ-რობა და ყვირილია, რომის ხალხის ნებით უნდა გაჩუმდეს; რაიცა შეეხება იმ ყვირილსა, რომელიც გარეშე რმის. მაგრამ კმარა, ამაზე მეტს არას ვიტყვი.... მეროპის ხალხები არ მისცემენ ნებას, რომ ვისიმე სიმართლე დაუ-სჯელათ გაითვლოს. როცა ერთი ოჯახის წე-ერი ითხოვს მიშველებასა, როდესაც იმას უნ-და შესვლა თავის ოჯახში, არავის ნება არა აქვს, რომ ეს დაუშალოს. ნათესაობრივი სი-სხლი გაუშლის ხელებს გადასახვევათ. რასა კვირველია, იტალია თავის მოვალეობას აას-რულებს და ათხოვებს ყურს რომის ძახილ-სა“. მინც იქ იყო, ყველამ ყვირილი შექმნა „რომს, რომს წავიდეთ“.

— **მიტიანი** (შეკრებილება) ჯიოვანეში. პა-რმის გაზეთში Patria სწერენ 25 სექტემბრი-დან: ღღეს 11 საათზე წ. ჯიოვანეს თეატრ-ში გამართეს მიტიანი, მკურნალის შრანჩეს-კო ძაპარის თავს-მჯღობარეობით. ამ მი-ტინგზე მქონდათ ლაპარაკი იმაზე, რომ პარ-მის ხალხს შეაგონონ, რომ პირადის ძალდა-ტანებით და ფულის გამოღებით შეეწიონ რა-მის გამოხსნას მღვდლების ხელიდან და გა-მოაცხადონ ძველი ქალაქი მთელის იტალიის სატანტო ქალაქთ. შეკრებილებაში ამბობდა ადვოკატი მსტაჩინი. მოლაპარაკება რამო-დენმე ვერ გაწყვეტინეს ამისთანა ძახილით: „გაუმარჯოს იტალიის სატანტო ქალაქს რომს!“ სხვა რიგათ კი სრული წესიერება არ-სებობდა ამ შეკრებილებაში.

ბარიბალდის დატუსალება. პიე-მონტის გაზეთში და „Movimento“ ში სწე-რენ დაწერილობის ამბავს ბარიბალდის და-ტუსალებაზე. მრზაბათს საღამოზე (23 სე-ქტემბერს) ბარიბალდი მოვიდა აზინალუნგ-ში. აქ ის არამცოუ მცხოვრებლებმა მიიღეს აღტაცებით, არამედ ბევრი ადგილობრივის მთავრობის პირნიც მივიდნენ იმასთან სანახა-ვათ. იმის დატყვევებას არავინ მოიფიქრებდა. ათს საათზე ის გამოეთხოვა თავისს მგვობ-რებს და გულდამშვიდებულმა დაიძინა უფ.

ანოლუჩის სახლში, სადაც ის ჩამომხტარია იყო. სოფელში ჩამიჩუმდებოდა იყო, ყველა დაწყნარებული იყო და განისვენებდა. უცებ დილის პირველს საათზე სოფელში შემოვიდა ორი როტა მრევლის ციხის მცველი ჯარი. ანოლუჩის სახლი გაიხსოვრა სალდათებით. მართი აფიცრის ორის სალდათით შევიდა ბარბაღლისთან ოთახში, სადაც იმას ეძინა და გამოუტყდა ბრძანება, რომ ის უნდა დატყუებოდა. ბარბაღლი იმე მინუტში წამოჯდა ლოგინში და სიცილით უთხრა აფიცრს: „მესმის; მე შეგას წინათვე მეუბნებოდნენ, მაგრამ მე არ დავიჯერე, სად უნდა წამოყვანოთ?“ „შლორენციამი მიუფო აფიცრმა.“ ამას შემდეგ გენერალს სთხოვეს კარეტაში ჩაჯდომა და წაიყვანეს ლუზინგანის სტანციამდე. ბარბაღლის თან გააყოლეს სამი მეგობარი, რომელნიც იმასთან მგზავრობდნენ აზინალუნგში სახელდობრ: სეკრეტარი იმისი დელ-მეკო, მაიორი ბასო და ინჟინერი ბერბერინი. აგრეთვე კიდევ რამდენიმე სხვებიც დაატყუა და ამასთან ყველა ურმები შეაყენეს. ბარბაღლის მხოლოდ შლორენციის რკინის გზის დებარკადრზედ უთხრეს, თუ სად აპირებდნენ იმის წაყვანას. ბერბერინმა, რომ ბარბაღლის განზრახვა მმართველობამ განსაკუთრებით უფრო იმ ქალაქებდგან შეიტყუო, რომელიც მენგრეის მაიორს მრიგებს გამოაჩნდა. ეს მაიორი იტალიიდგან გაგდეს და შევიცარიის საზღვარზედ გაიყვანეს.

— შლორენციის გაზეთის „Temps“ კორრესპოდენტი სწერს, რომ ბარბაღლი დილის ხუთს საათზედ დატყუვეს, იმ დროს, როცა ლოგინიდგან ადგა და თბილის წყალში საბანებლათ მოემზადა; ამ კორრესპოდენტის სიტყვით ბარბაღლიმ კიდევ მოასწრო შემდგომი მოწოდების დაწერა: „რომალეებს ის მონების სიმართლე აქვს, რომ შეუძლიან თავის მტარვალ მღვდლებზედ აღსდგენ. იტალიელებს ეალი აქვს იმთ შემწობა მისცენ, და იმედი მაქვს, რომ იმთ ეს შეუძლიან, თუ გინდ ორმოცდა ათი ბარბაღლიც დაატყუონ. მიმართეთ რომაელებს და იტალიელებს სახელოვანს ღვაწლს, რომელიც თქვენ უნდა შესრულოთ. მრთელი ქვეყანა ჩვენ გვიტყვარს. როცა თქვენ საქმეს შეასრულებთ, მაშინ ამპარტანათ ეტყვით ხალხს: „ჩვენ ვაგეტყუეთ გზა, რომელიც ხალხს დაამბობილებს, იმთ დახსნის საზიზღარს მტერს—პაპობას.“

შეშინებარია. შენევის მშვიდობიანობის მოყვარეთ კონგრესისი. Nord. zeitung-ში, სექტემბრის 5-დან იწყებინან: „ბოლოს უფრო დაწერილებითი და ნამდვილი ამბავი მოვიდა მშვიდობის მოყვარეთ შეყრილობაზე, ან უფრო სწორეთ რომა ეთქვათ, რევოლუციურს შეყრილობაზე. როგორც ეტყობა შრანციის მმართველობას მართლა მიუტყვევია ყურადღება შევიცარიის მთავრობისა, იმაზედ, რომ კოსმოპოლიტიკური დემოკრატია (*) შრანციის მიჯნასთან დემონსტრაციის მოხდენას აპირებს. სხვაფრთვ ძნელათ ახსნება ის გარემოება, რომ პირველსავე შეყრილობაში წაიკითხეს წიგნი, რომელიც შენევის სახელმწიფო რჩევის ვიცე-პრეზიდენტმა გაუგზავნა საორგანიზაციო (გამწესებელს, გამრიგებელს, მოთავეს) კამიტეტს. ამ წიგნში ისა თხოულობს, რომ კონგრესში ბასი იმ გვართ უნდა მოხდეს, რომ შევიცარიის ნეიტრალიტეტს არაფერი ევნასო. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ საორგანიზაციო კამიტეტის პრეზიდენტმა, უფ. ბარნიმ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ „ცეზარიზმი“ (გარე—შეუსაზღვრელი უფლება), „ცენტრალიზაცია“ და „თეორია ხალ-

(*) კოსმოპოლიტი იმისთანა კაცსა ჰქვინან, რომლისათვისაც სამშობლო ქვეყანა და სხვა ქვეყანა სულერთია, როგორც თავისი ქვეყანა უყვარს, სხვაც ისე. დემოკრატია იმისთანა კაცია, რომ უბრალო მუშა და გლეხი ხალხის მოყვარეა და მომხრე.

ხების შეერთებისა დიდ მასებთა* მანებელი იდეებია და ეს იდეები ომს მოახდენენო. იმის შემდეგ საორგანიზაციო კამიტეტის წევრი, უფ. აკოლა, პარიჟიდგან, ამტკიცებდა, რომ ყველა ქვეყნების დემოკრატების ერთობას შეუძლიან მოსპოსო უბედურება, რომელიც ომიანობისაგან წარმოსდგება და ეს ერთობა მიახწეინებს ნიადაგ მშვიდობიანობამდის. ამის ასასრულებლათ თავ და პირველათ საქირთა პაპის ტახტის დარღვევა, როგორც ბარბაღლი ითხოვსო. მასუკან წაიკითხეს ორი ადრესი შენევის და ლოზანის მუშა ხალხის ასსოციაციებისაგან (საზოგადოებისაგან); ისინი ითხოვენ, რომ მწარმოებელთ და მმართველთ შორის დამოკიდებულობა უფრო სამართლიანათ დაწესდეს. საზოგადო მშვიდობიანობა მანამდის შეუძლებელია დამყარდეს, სანამ საზოგადოებაში იქნებიან ორ გვარნი პირნი: დამჩაგრელინი კაპიტალისტები და დაჩაგრულინი მუშები. შემდეგ კონგრესის წევრებმა დაიწყეს განსჯა პროგრამისა, რომელიც შეიცავდა შემდეგს: 1) შესაძლებელია თუ არა მშვიდობიანობის დამყარება, რომელიც არის უაღრესი მოთხოვნილება ცივილიზაციისა, იმ დროს, როდესაც არსებობენ დიდი სახელმწიფოები, რომელნიც ართმევენ ქვეშევრდომს ხალხებს თავისუფლებას, დიდ-ძალს ჯარებს ინახვენ და ცდილობენ დესპოტიკური ცენტრალიზაცია დააარსონ და მცირე სახელმწიფოები შეაფიროვან. ნიადაგის მშვიდობიანობისთვის საქირთა თუ არა, რომ თვითოეულს ხალხს მიენიჭოს თავისუფლება და ეს მშვიდობიანობა დამყარდეს თავისუფლის დემოკრატების კავშირის დაარსებით, ასე რომ დაწესდეს მერობის შეერთებული შტატები? 2) რა ღონისძიება თავისუფალ ხალხების კავშირის შედგენისათვის? ეს ღონისძიება მდგომარეობს იმაში, რომ ჩაგდონ საქმეში ის პრინციპები (საფუძველი), რომელიც შრანციის დიდმა რევოლუციამ უანდერძა ქვეყნიერობას: აღდგინება პიროვნის და პოლიტიკურის თავისუფლებისა, განღვიძება ხალხში; თავის ცნობისა და ზნეობითი სიმხნის; განათლების გავრცელება ხალხში; აღმოფხვრა იმ აზრებისა და შემტდარ მხედველობისა, რომ ამ გვარი სისხლის, ხალხი მეროვსა სჯობია; აღმოფხვრა სექტობის (მწვალებლობის) სული-სა, მეომრობის სულისა; გაუქმება სამუდამო ჯარებისა; დაწესება თანხმობისა ეკონომიურ ინტერესებში თავისუფლების ღონისძიებით; ერთგვარობა პოლიტიკისა და ზნეობისა. 3) რა ღონისძიება იმისთვის, რომ ურთიერთ-ხალხების მშვიდობიანობის მოყვარეთ კონგრესისი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი შეიქნეს და უფრო დამკვიდროს ამ მოღვაწეობის რეზულტატები? ეს ღონისძიება მდგომარეობს იმაში, რომ მკვიდრს საფუძველზედ შეადგინონ დემოკრატის და თავისუფლების მოყვარეთ ასსოციაცია (საზოგადოება). შენევის კონგრესმა ეალათ უნდა დაიდგას, რომ პლანი შეადგინოს და განსაზღვროს ძირი საფუძველი ამ გვარის ასსოციაციისა. შ. შმიდლინმა ბაზელის ქალაქდამ გამოაცხადა პროტესტი ზემოხსენებულის პროგრამის რევოლუციურის მიმართულების წინაღმდეგ. შ. შმიდლინმა სთქვა, რომ ხალხებს იმ გვარი მმართველობის ფორმა აქეთა, რომლისაც ღირსნი არიან; ამაზე საშინელი მღელვარება მოხდა მთელ ქვეყნის დემოკრატის წარმომადგენლებში. ეს წარმომადგენლები ითხოვენ, რომ ორატორი წესზე მოეწვი-ათ; ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და შმიდლინმა განაგრძო თავისი სიტყვა. ის ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება მივაწიოთ სამარადისო მშვიდობიანობას იმ გაციეილ წარმარა ლაპარაკითა და სჯით, რომ ომიანობის მიზეზი ხელმწიფეების თავისმოყვარეობაა და სთქვა, რომ იმ გვარმა ომიანობამ, როგორც შრანციის რესპუბლიკამ და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გა-

მართეს და თითქმის ბერმანის უკანასკნელი ომიანობამ დაამტკიცა, რომ რაგვარი მმართველობის ფორმა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, ომიანობა აუცილებელი რამ არის. შ. შემს-შაზიმ წინაღმდეგის სიტყვა რაკი უთხრა შ. შმიდლინსა, სთქვა, რომ შევიცარიამ მამინ ნახა მშვიდობიანობა, როდესაც მოახდინა რევოლუციო.—ამ ორატორმა (სახალხოთ მოლაპარაკე) დაიფიწყა ის სისხლის ღვრა 1865-ში რომ მოხდა შენევაში და, რომელიც კინალამ ხალხის საერთმანერთო ომით არ გადიქა. შ. შერმე, პარიჟიდამ, რაკი ავიდა საორატორო ტრიბუნზე (მაღალი სადგომი ადგილი) მოითხოვა, რომ გაიტანოს შრანციის დროშა, რომელიც, სხვათა შორის, ამშვენებდა კონგრესის ყრილობის ზალასა, რადგანაც არის ნიშანი მტარელობისა და არ უნდა იყოს ამისთანა ადგილსა, სადაც შეყრილან კონგრესის წევრები თავისუფლების მოქადაგნიო. ამ მოთხოვნას სრულებით ყურადღება არ მიაკციეს.—ბარბაღლიმ წამოსთქვა აზრი, რომ იმას არ შეუძლიან მოუწონოს შევიცარიის მმართველობის თვით მოყვარეობის კეთილგონიერება, რომ არა ფიქრობს, რომ შეწევის ხელი მიწოდოს ვისაც საქირთა ადგა შემწობა ექირება. ბარბაღლიმ სთქვა აგრეთვე, რომ კონგრესის სრულებით არა სწადიან, რომ მონახიები (*) დაარღვიონ და ამთ ადგილს რესპუბლიკები დააწესონ; მხოლოდ კონგრესი ეწინააღმდეგება აბსოლუტობას. შემდეგ ბარბაღლიმ წარმოსთქვა ძალიან ვრცელი პროგრამა, რომელიც შეიცავს შემდეგს: 1) ყველა ხალხნი ერთი ნათესავისანი არიან და ერთმანერთის შემწობა ჰმართებთ; 2) ხალხების ერთმანერთთან ომიანობა უღმთო საქმეა; 3) ხალხებში რომ უთანხმობა ასტყვის მშვიდობიანათ უნდა მოხდეს მორიგება და კონგრესში განსაჯოს; 4) კონგრესის წევრები დემოკრატულ ასსოციაციებისაგან უნდა იყვნენ ამორჩეულნი; 5) პაპის ტახტი უნდა მოიშალოს, (საშინელი ტაშისკრა); 6) კონგრესი აცხადებს, რომ ისარის ღვთის რწმუნების აღმსარებელნი და კონგრესის ყოველი წევრი კისრულობს მთელ დედამიწის ზურგზე განაგრცელოს ქვემარტება იმჴ სარწმუნოებისა; 7) გამოცხადებას და უმცერებას სიწმინდემ უნდა დაუთმოს ადგალი ღვთაებისა და გონების სიწმინდესა; 8) საქირთა ცდა, რომ პატროსანი კაცების დემოკრატია გამრავლდეს; 9) გავრცელება ღვთიურის სარწმუნოებისა, ქვემარტებისა და მეცნიერების საშუალებით; 10) მხოლოდ მართო დემოკრატისა შეუძლიან ომიანობის აღმოფხვრა და ძლევა მოსკეს სარწმუნოებასა და ქვემარტებას; 11) მონებს აქეთ სიმართლე, რომ თავიანთ მტარელებზე ადგენ. საქირთა, რომ მრთელის ქვეყნების სამუდამო კომიტეტი დაწესდეს. რაკი ბარბაღლიმ გაათავა პროგრამის კითხვა, ის დანიშნეს კონგრესის საპატო პრეზიდენტათ, კონგრესის ნამდვილ პრეზიდენტათ დანიშნეს უფ. შოლისენი, ბერნის ქალაქის სახელმწიფო რჩევის წევრი; ვიცე-პრეზიდენტათ უფ. ბარნი, (ფრანკუზი, ფილოსოფოსის ძანტის მთარგმნელი და ფილოსოფიაში განვითარებული.) ამით გათავდა პირველი ყრილობა. მეორე ყრილობაში ძალიან მღელვარე ბასი მოხდა. შ. შ. პარტერე, შენევიდგან, (ღვთობა არეულობა დემშვიდებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. რაკი უფ. კონგრესის პრეზიდენტმა გამოაცხადა ყრილობის დახურვა, პარტერემ გაათავა თავისი სიტყვა.

(*) მონახი—სახელმწიფოა, საცა მართველობისთავი ხელმწიფეა.

ორატორმა დაიძახა, რომ ბარბაღლი „შაცხოვარი არისო“; მესამე ყრილობაში კომოორატორმა დაიძახა, რომ წაოლუციურს გვეროვნება ბოროტის ძალით წარმოანაშობია: და ურჩია ყრილობას, რომ ნაპოლეონი შეირაცხოს წარსულის საუკუნის უდიდესს ავაზაკათ. ამ გვარი სიტყვები განსაკუთრებით ქვეყნელებს არ მოსწონდათ და იმთ მოითხოვეს, რომ ყრილობა დაშლილ იყო, რადგან კონგრესის წევრებმა ამგვარს თხოვნას ყურადღება არ მიაკციეს. ამისთვის საღამოს რვა საათზე მრავალი შენევის მოქალაქეები შეიკრიბნენ და შეადგინეს ქვემოსხენებული გადაწყვეტილება: „რადგან კონგრესში მხოლოდ არეულ-დარეულ აზრების მეტი არა წამოთქმისრა და რადგან კონგრესმა პრაკტიკული ხასიათი ვერ გამოაჩინა, ამისთვის შენევის მოქალაქეების კრება აცხადებს სურვილს, რომ მშვიდობიანობის დასაცველათ თავისუფლებისა და შევიცარიის კავშირის საკეთილ-დღეოთ, კონგრესმა არავითარი გადაწყვეტილება აღარ დასდოს“. ამისგარდა გადაწყვეტეს, რომ არც ერთი ამისთანა გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერონ, რომელიც აღძრავს გარეშე სახელმწიფოს უკმაყოფილებას და რითიმე აენებს შევიცარიის კავშირსა. მეორე დღეს კონგრესის მეოთხე ყრილობა მოხდა. ის არ დაეთანხმა შენევის მოქალაქეთა კრების გადაწყვეტილებას. ამ დროს ასტყდა დიდი ყვირილი; ქვეყნელები და სხვა წევრები, რომელნიც რადიკალის პარტის არ ეკუთვნოდნენ, გამოვიდნენ ყრილობიდგან და მონაწილეობა აღარ მიიღეს. დანარჩენმა—წევრებმა ყრილობაში ჩამოატარეს კენჭი ზოგიერთს პროგრამის შესწორებაზე, რომელიც უნდა დამტკიცებინათ ხმების უმრავლესობითა. ეს შესწორება მოიწონეს და პროგრამა შეადგინეს ამსახით: „რადგან მერობის დიდმა მთავრობებმა ვერ შეიძლეს სამუდამო მშვიდობიანობის დამკვიდრება და ამით ვერ დამყარეს თანდათან თავისუფლათ გავრცელება მერობის საზოგადოების კეთილმდგომარეობისა; რადგან მუდამი მხედრობა და იმისი თან-და-თან გამრავლება უღრის საზოგადო სამხედრო მდგომარეობის დამყარებასა, და რადგან ამისთანა გარემოება არ მოთავსდება თავისუფლებასთან და ხალხის კეთილ-მდგომარეობასთან, ურთი-ერთ ხალხობითი კონგრესი აცხადებს ქვემოსხენებულს დაწესებულებებსა იმ განზრახვით, რომ დემოკრატის და თავისუფლების დასაწყისებზე დაფუძნდეს მშვიდობიანობა. აი ეს დაწესებულება: შნდა დაფუძნდეს მშვიდობის მოყვარენი ლიგა (კავშირი), ნამდვ ლათ კოსმოპოლიტიკური ფედერაცია. ამ ლიგის ყოველს წევრს ევალი უნდა დაედოს, რომ საზოგადოებას აუხსნას, თუ რაში მდგომარეობს მმართველობის დანიშნულება, როგორც საზოგადოების ამსრულებელის პირისა; სამუდამ მხედრობის მაგივრათ სანაციონალო (სახალხო) მილიცია უნდა დაარსდეს, უნდა გამოცხადდეს, თუ რა მდგომარეობაშია უღარბესი ნაწილი ხალხისა ყოველს ქვეყანაში, რომ იმათი მდგომარეობის გაკეთებით დამყარდეს ყოველი კაცის თავისუფლება. ამისგარდა კონგრესი აწესებს: უნდა დაფუძნდესო შენევაში ცენტრალური კამიტეტი და იმას უნდა მიენდოსო შემდეგი მოვალეობა: 1) რაც ახლა დემოკრატული ასსოციაცია არსებობს, კამიტეტმა ყველასთან უნდა იქონიოსო ურთიერთობა, აგრეთვე უნდა დაფუძნოს ახალი ასსოციაციებიცა, რომ ამით უფრო გავრცელდეს კონგრესის თავიანთი; 2) კამიტეტმა უნდა განამზადოს ახალი კრებები კონგრესისა შენევაში ან სხვა რომელსავე თავისუფალს მერობის ქალაქში; 3) უნდა აწარმოვოს და გამოაცხადოს ხოლმე კონგრესის მათიანი; 4) შენევაში ან ბაზელში უნდა გამოსცეს გაზეთი ფრანკუზულს და ნემეკურს ენაზე ამგვარის სათაურითა: მერობის შეერთებული შტატები; 5) კამიტე-

ტმა უნდა ჰქონდეს ფული განწესებული შე-
სატანათ თითო წევრზე თვეში ათი სანტიმი
(მეოთხედი კაპიკი) და ამ ფულის ჯამი უნდა
ხარჯოს კონგრესის განზრახვის ასასრულე-
ლათ და ამის ანგარიში კონგრესს უნდა აქ-
ლიოს. ამას შემდეგ კონგრესის წევრები წა-
ვიდნენ. ბერნის კანტონში სადღესასწაუ-
ლო გამასპინძლების შემდეგ წევრებმა გამო-
ცეს შინაგან მოქალაქეების სახელზე შემდეგი
პროკლამაცია: „კონგრესის კამიტეტი შევი-
ცარიის მოქალაქეებს! მშვიდობის მოყვარეთ
კონგრესი თავიანთ ყრილობის დაშლის წინათ
გამოუტყდალეს შევიცარიის კავშირს და საკუ-
თრათ შინაგან მოქალაქეების მმართველობას მად-
ლობას კარგის გულით ჩვენი მიღებისათვის
იმ ნიადაგზე, სადაც ძველადგანვე დამყარე-
ბულია თავისუფლება. კონგრესმა რომ თა-
ვი—აზრები გამოაცხადა, ისინი ამისთანა აზ-
რები არიან, რომელნიც ძველადგანვე კეთი-
ლდღეობას უმკვიდრებდა თქვენს მხარეს, აი
ეს აზრები: თავისუფლება და სრული დემოკ-
რატია; ყველა დაჩაგრულ ხალხების თანაგრძ-
ნობა, სახალხო მილიციის დაარსება.“

შეპირებული შტატები. ბოსტონის გა-
ზეთში „Advertiser“ სწერენ: როდესაც უფ-
სომხერთან დაიწყე ლაპარაკი—ზემოხსენე-
ბული გაზეთის რედაქტორი სწერს მას—იმი-
სი ყურადღება მიექცე უწინ უფ. სტენტონ-
ის სამახურიდან გადაყენებამდე. უფ. სომ-
ხერი ამ გვარ პრეზიდენტის განკარგულებას
საზოგადოების უბედურებათ რაცხავს. „ამ გან-
კარგულების შედეგი ის იყო,—ამბობს უფ.
სომხერი—რომ მეფეთიანი ისევე ფეხზედ წა-
მოსდგნენ და ზურგი გაიმარჯეს. საქმის აღ-
დგენას (restitution) დიდი ზარალი მიეცა.
მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს საქმე მაინც და
მაინც შესრულდება, თუ სწორეთ ამუშავებს.
საკირო იყო ამ საქმესთან შეერთებული სიძ-
ნელე შეცოტაებულიყო და არა კიდევ უფ-
რო განმეხლებულიყო გაუქმებულათ. რომ საქმის
აღდგენა გამარჯვებით დაეაბოლოთ, საჭი-
როა, რომ პრეზიდენტმა და ყოველმა სამოქალაქე
და სამხედრო სამსახურში მყოფმა პირმა
აღმოაჩინოს ამ საქმის თანაგრძნობა. მაგრამ
რაც უნდა დაბრკოლება შეგვემთხვეს, ჩვენ
საქმეს მაინც ბოლომდის ვამუშავებთ.
„პრეზიდენტი—ამ-
ბობს უფ. სომხერი—აუზაკი გაუგონარი და
უზრდელი არის. ის მაჩუბარი ხასიათისა არის.
აღრე, როდესაც ის ამაგებდა სენატში ჯეფ-
ფერსონ-დევისსა, კეთილს საქმეს ესარჩლე-
ბოდა; მაშინ ჯავრობა, რომლითაც ის სულ
ენთებოდა, იმისგან მოყვანილის საბუთების და-
ლას აძლიერებდა. ჩვენ ყველას მოგვწონდა
მაშინ ჯონსონი, ამისთვის რომ ის ასრე მო-
კლვე ჰქუვისა არ გვეგონა. ჩვენ ვერ მოვი-
ფიქრებდით, რომ ის ამდენ ბოროტებას შეა-
სრულებდა. ჩვენის მხარესთვის ჯერ მაგის-
მეტს ასეთი ბევრი ენება არავის მიუყენებია,
ასე ცოტა ხანის განმავლობაში. ის არის ხა-
ლხის შემავიწროებელი და ტირანი. მიკე-
რის, რომ კონგრესსმა აქამდის საქმე არ იკი-
სრა და ჯონსონს ხელი და ფეხი არ შეუკ-
რა, როგორც ცოფიანს. ბოლოს მოყვანილია
უფ. სომხერის აზრი სენატორების და მენის
შტატის წარმომადგენლის მესსენის შესახებ.
უფ. სომხერი ამტკუენებსო ამ უკანასკნელს
პირს იმაში, რომ ის იყო უმთავრესი მიზეზი,
რომ კონგრესსმა აღდგინებამდე და პრეზი-
დენტის უფლებამდე მოლაპარაკების დროს
ხეირიანათ ვერაგადასწყვიტა რა.—სენატორი
შილსონი ვგრეთვე ამტკიცებს, რომ შრანტი
კონგრესის პოლიტიკას თანაუგრძნობსო და
უფ. სტენტონის ადგილი იმან იმისათვის და-
იჭირაო, რომ პრეზიდენტს რეაქციული
ტენდენციები შეეკავებინაო. უფ. შილსონის
გამოცხადება შრანტის მოწინააღმდეგეებს ყე-
ლას პირს შეუკრავს—უფ. ბოტლერი ფიქ-
რობს, რომ ჯონსონი სასჯელს იმისთვის არ
მისცესო, რომ უფ. შდენს აღმასრულებელი

უფლება ხელში არ ჩაეგდო. იმისი ემინოდათ,
რომ უფ. შდენს გავლენა ექნებოდა, ამით
ისარგებლებდა და აღმორჩევის დროს 1869
წელში პრეზიდენტად გახდებოდა. ნომინერ-
ში საქმე სრულებით შეიცვლება. თუ ჯონ-
სონს წაერთო პრეზიდენტობა, შდენი პრეზი-
დენტობას გაზაფხულამდის მაინც ვერ იშო-
ვის. მაშინ იმას ძალა აღარ ექმნება აღმორ-
ჩელებზედ გავლენა იქონიოს და თავისი კა-
ნდიდატობას ვეღარ მისცემს შემწობას. ამ-
ბობენ, რომ პრეზიდენტი ჯონსონი სასჯელს
მიუტოლებლათ მიეცემა.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.

კონსტანტინოპოლი, 2 (24) სექტემბერს.
აღესით. ბუხარის ელჩი სულთან აბდულ—
აზიზთან მოვიდა, და რუსეთის წინააღმდეგ
შემწეობა ითხოვა მაგრამ სულთანმა ამ თხო-
ვნაზედ უარი უთხრა.

მცირე-ფაშა სწერს მსმალს მმართველობას,
რომ კანდილები დამშვიდდნენო. მაგ-
რამ საბერძნეთიდან ისმის, რომ ომი ძანდი-
ის კუნძულზედ არ გათავებულა.

კონსტანტინოპოლში ლაპარაკობენ პროექტ-
ზედ, ვითომც პორტა აპირებდეს ძანდიის კუნ-
ძულზედ ჩერქეზების დასახლებას.

მადრიდი, 15-ს (27) სექტემბერს. საკა-
როლო დეკრეტით გამოცხადდა პატივობა ინ-
სურგენტებს, რომელნიც საზღვარს გარეთ
გაიქცნენ, შემდეგ უკანასკნელის უწყსობისა,
მაგრამ ამ პირობით, რომ ისინი ერთის თვის
განმავლობაში უთუოთ უნდა გამოცხადონ
ისპანიის მთავრობას ან ისპანიის წარმომად-
გენლებს, რომელნიც საზღვარს გარეთ არიან.
გაზეთში „Impartial“ სწერენ, რომ კორტე-
სებს ამ წლის 20 ოქტომბერს მოუწოდებდნო.

ლონდონი, 16 (28) სექტემბერს. გა-
ზეთში „Times“ სწერენ, რომ შემდეგ ბამბის
ფასის დაკლებისა ლივერპულის სავაჭროზედ
პატარა სავაჭრო ფირმებმა ხარჯის ძლიერა შე-
სწყვიტეს.

კონსტანტინოპოლი, 14 (26) აგვისტოს. მგზავ-
რების სიტყვით, რომელნიც იტალიიდან
არიან მოსულნი, რომში ხალხი ასდგა და პა-
პი იძულებული იყო ჩივიტა მუკიში წასული-
ყო. ეს ჯერ კიდევ დასაჯერი არ არის.

**ფლორენსია, 19 სექტემბერს (1 ოქტომ-
ბერს)** გაზეთის „Opinione“ დღევანდელს ნო-
მერში სწერენ, რომ მიტერბოს მასრაში რამ-
დენიმე ინსურგენტების თაბუენები გამოსჩნ-
დნენ. აქვანდენტში ოთხმოცი ინსურგენტი
შემოერთა კახარმას, რომელშიაც ორმოცი
ქანდარმი შეიმწყვდიეს.

რომი, 19 სექტემბერს (1 ოქტომბერს) დი-
ლის რომის ოფიციალურს ჟურნალში სწე-
რენ, რომ პაპის საზღვრებზე ინსურგენტების
ახალი თაბუენები გამოვიდნენ. მიტერბოს მყო-
ფნი თაბუენები ხალხს არბევნო, ხორაგს და
ფულს კრეფენ. ძანინოს სოფელში ინსურგენ-
ტები შეებნენ პაპის ჯარს და პაპის ჯარმა
გააქცივა ისინი; სხვა ადგილებში რამდენიმე
ინსურგენტი დაატყვევეს, და ამ დროს ბევ-
რი ინსურგენტი დაიჭრა, ზოგი მოკვდა. მსლა
მიტერბოში და სხვა მხარეებში სრულებით
მშვიდობიანობაა.

რომიდან მოწერილს წიგნებში გეაცნო-
ბებენ, რომ მიტერბოს მასრაში ხალხი
აღბა.

ფლორენსია, 13 (25) სექტემბერს. მთე-
ლს მასრაში და თვით ფლორენსიაშიაც მშ-
ვიდობიანობა არის.

ღღეს გაზეთში „Opinione“ სწერენ, რომ
თუ ბარიბალიმ რომზედ გალაშქრის უარი
არა სთქვა, სამინისტრო იტალიის პარლამენ-
ტს მოუწოდებს და მიუტოლებლათ შეერი-
ლობა იქნება.

— 14 (26) სექტემბერს. ბუშინ სალამოზე
ფლორენსიაში და მილანში ხალხი შეგროვ-

და და ბარიბალის განთავისუფლება ითხოვა,
მაგრამ როცა სახალხო გვარდია და ჯარი გა-
მოვიდა იმათ დასაფანტელათ, ისინი მაშინვე
წვიდ—წამოვიდნენ. პრაინ არ მოაკვდარა.

ბენუაში, მეროპში, ნეპოლში და სიენში
დემონსტრაციები მშვიდობიანათ გათავდნენ;
ჯარი არ გამოსულა ხალხის დასამშვიდებლათ.

კონსტანტინოპოლი, 14 (26) სექტემბერს. აქ მი-
დეს აფიციალური ცნობა, რომ შდინოში გა-
მოსჩნდნენ ბევრი შეიარაღებული ხალხის
გროვები და ისინი სარეველოუციო სიტყვებს
ყვიროდნენ. შდინელები, გააქციეს, და იძუ-
ლებულ იყვნენ აესტრისის საზღვრებზედ და-
მალულიყვნენ.

კონსტანტინოპოლი, 16 (28) სექტემბერს.
ღღეს გამგზავრდა ძანდიის კუნძულზედ კამბი-
სია, რომელმაც უნდა გამოიძიოს კანდილე-
ბის სურვილი.

კამბისია არის შემდგარი მსმალს მხრივ
დიდის ვეზირის ალი ფაშისაგან, ძაბულ—მე-
ფენდი და რიზა-ფაშისაგან: ქრისტიანების
მხრივ არიან შართოდორე, ანთოსიდესი და
ხაყარი.

ფლორენსია, 15 (27) სექტემბერს. ზღე-
ის მინისტრი ბარიბალისთან მოვიდა სანახ-
ვათ ალექსანდრიაში.

პალერმო, 15 (27) სექტემბერს. ძალაქმა
პალერმომ გამოაცხადა, რომ იმან დემონსტ-
რაცია ბარიბალის განსათავისუფლებლათ
არ მოახდინოს იმ აზრით, რომ არ უნდოდა
ბურბონების მომხრებისათვის საბუთი მიეცა
წესის დასარღვეველათ.

ბენუა, 15 (27) სექტემბერს. ღღეს დილის
ცხრა საათზედ ბარიბალი ბენუადგან წაიყუ-
ნეს ძაპრერის კუნძულზედ იტალიის სამხედ-
რო ცეცხლის გემით.

ტფლისში მიღებული.

პეტერბურგში, 29 სექტემბერს. როცა
ხელმწიფე იმპერატორი პეტერბურგს დაბრუ-
ნდა, 28 სექტემბერს გზაზე ქ. პოლტავას შე-
უხვია.

გაზეთი „Etendart“ გეაჯერებს, რომ შრან-
ტის მთავრობას ჰსურს სექტემბრის კონვენ-
ციის ძალა არ დაარღვიოსო. როგორც ისმის,
შრანტისა არ უნდა გაერიოსო იტალიის საქ-
მეში. პაპს პიოს IX სამოქალაქო უფლება სი-
ვილიამდე ხელში დარჩება, მაგრამ იმის მემ-
კვიდრებს კი კათოლიკური სახელმწიფოები
მხოლოდ სასულიერო უფლებებზე აძლევენ
იმეცს.

ვაი ჰუისსაგან.

ათასთ გვარი დუასა, ორი ათასთ ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარი-შვილობა.


ნეტარია და ბედნიერი ის კაცი, რომელიც,
ცოტათი მაინც არის, შევლის კაცობრიობის
განათლებას, ორს თუ სამს კაცს დააფიქრებს,
აქნობინებს თავის თავს, ამოქმედებს და შე-
უმსუბუქებს ხალხს მწუხარებას. ძაცობრიო-
ბის უბედურს მდგომარეობის შემსუბუქებას
კიდევ შეუდგა განათლებული გონება კაცი-
სა. იმის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის
სახარად მან ჯერ მოიპოვა განათლება. ამის
მეტი სხვა არაფერია მოპოვებული. მხოლოდ
იმას შეუძლიან ჯერ გამშვიენიეროს და გა-
ანეტაროს იმისი ცხოვრება. მაგრამ ეს ჯერ
ყველას ვერ შეუტყვია, რის გამო მრავალი
ხალხი იმყოფება გაუნათლებლათ. ამათში
ურევიან ინგილოებიცა. ჩემდა საუბედუროთ
მათგანიც თითქმის არაინა ცდილობს, რომ
ჰქუა გონება გახსნილი ჰქონდეს, ბუნების მო-
ვლენების ახსნა და კაცურად ცხოვრების რი-
გი იცოდეს. ინგილოს ცხოვრება საესეა სა-
ზიზნარ, ცრუ-მორწმუნეობით. მისი გონება
დამონაგებულია იმათგან. ისეთი საგანი არ
არის, რომ მას კავშირი არა ჰქონდეს მის ცრუ-
მორწმუნეობასთან, რომელიც ამწარებს მის
ცხოვრებას. ამათში ყველაზე მანებელი და

გამწარებული ინგილოს ცხოვრებისა არიან
ორი ცრუ მორწმუნეობანი. **ქრისტიანული**
ცრუ-მორწმუნეობაზე მეტად უფრო მეტად
ძლიერ მეჯავრება, მაგრამ, რადგან ეს ორნი
ყოველ წლივ განიმეორებინ მის ცხოვრება-
ში და აძლევს დიდს ზარალს, მსურს შევატ-
ყობინო ჩვენს გაზეთის მკითხველებს ესენი.
მართი ამთგანი შეეხება ჩილების ხო-
ცვას, მეორე აბრეშუმის ქიასა.—ამ ორი-
ვეზე მოველაპარაკები მკითხველს.

ღეიწყით პირველითგან და ვნახოთ, რა
არის ინგილოს ჰუის კოლოფის სიერცე.
წარმოიდგინე, მკითხველო, ორსული დე-
დათა სქესი. მან ბუნებისაგან დანიშნულ დრო-
მდე ატარა თავის მუცლის ნაყოფი და მერე
ჰშობა. ჩილი უსულოთ დაიბადა და დედაც
მშობიარებაზე ძლიერ აეთ გახდა. ინგილომ
მისი შეწუხება ჩილის ეშმაქისაგან გრძნებულს
სიკვდილს მიუწერა. ამ მიზეზისა გამო ის ამ
ახალს ნორჩს არ ასაფლავებს სამ დღემდის.
მას ამოსდებს ან გოდრის ან გეჯას ქვეშ; მე-
რე სამ დღეს უკან გაშინჯავს, თუ შეატყვეს,
ის წამოწითლებულა, მაშინ მხოლოდ ბართ,
და არა სხვა რითიმე, მოსჭრიან თავს და და-
ასაფლავებენ. თუ ამ გვარი ჩილი, რომელიც
დედის მწუხარების მიზეზია თავის მოუკვეთე-
ლად დავასაფლავეთო, ამბობენ ინგილოები,
სამარეში გაცოცხლებდა და მოჰკლავს დედა-
სო, რადგან ის არის ეშმაკეულიო. ამას შე-
მდეგ, იმათი აზრით, ის დედას ვეღარ ავენებს.
ამ გვარი მაგალითები ინგილოებში ათასი
მომხდარა. თვით ახლანდელს მათს ცხოვრე-
ბაშიაც არ გავა იმისთანა წელიწადი, რომ ეს
ამბავი არ განიმეოროს, რადგან მშობიარება
შეუწყვეტელი ბუნების კანონია. ამის გამო
ინგილოს გული ისე შეჩვიულია, რომ შეუ-
შფოთებლათ უმანკო ჩილს თავს მოჰკვეთს
ხოლომე გულის ბართ და ჩაჰკვდეს სამარეში.
მაი შენ თავს უმეცრება! რამდენი მოკვდე-
ბა იმათში შენის ძალით ცოცხალი უდროთ.
მინ იცის რამდენი დაიბადება ცოცხალ-
მკვდარი, დედამა მკვდარებში შერაცხს, ცო-
ცხალს მოჰკლავს და დაასაფლავებს! ამ
ორ წელიწადში მე შეიდი რვა მაგალითი მი-
ნახავს და შემიტყვია, შენგან მოხდენილი, რა-
მდენიც ამ ჯღანის მიზეზნი გახდნენ.

ბებიები რომ იცოდნენ, იქნება ცოცხალ-მკე-
დრების დასაფლავებას ბოლო მოჰდებოდა. მაგ-
რამ ჩვენ დასაუბედუროთ ინგილოებს ისინი არა
ჰყვანან; და თუნდ ჰყვანდნენ, იშვიათი ინგილო
იქნება, რომ ის მშობიარებაზე მიიყვანოს. მა-
ლს შეიყვანენ ცალკე სახლში და იქ მარტო
მარტო შობავენ შეილს. ცალკე დარჩება
მშობიარე ორმოც დღემდის. მაგრამ ეს-
ლა ზოგიერთმა დაიშალეს იმის მურდლათ
შერაცხვა. იმას ამ დრომდე აღარ დააცილან
ხოლომე, გამოიყვანენ ცალკე ოთახიდან და
ამუშავებენ. არის ანდაზა: „მაის გაეყარე და
ფუის შეეყარეო“, სწორეთ ასე მოსდით დე-
დათა სქეს შემდეგ მშობიარებისა, და ოთახი-
დან გამოყვანისა. ის იმისათვის შემოაღვეს
ოთახში, რომ ამუშაონ, რის გამო მრავალი
მათგანი იხოცება. რასაკვირველია, რომ დაი-
ხოცებინან. ხუმრობა ხომ არ არის, ერთ კვი-
რას უკან მშობიარე დედაკაცის მუშაობა. ძი-
დევ მადლობა ღმერთსა, რომ ყველანი არ
იხოცებინან. მსეც დიდი ბედნიერება!

ძაცს ორი დღე აქვს სიცოცხლეთ დანიშ-
ნული და ორივე შავიო, იტყვიან ხოლომე ინ-
გილოები. ამათ აზრს ამტკიცებს მათივე ცხო-
ვრება და მოქმედება. ინგილო გაუნათლებე-
ლია და მის ცხოვრებაც ამის შესაფერათ არის
შეწობილი. მისი სადგური სადგურს არა ჰგავს,
ცხოვრება ცხოვრებას: მას ყველაფერი აქვს,
მაგრამ მის ცხოვრებას ლაზათი არა აქვს. მას
ამაზე კარგი და ბედნიერი ცხოვრება არ უნა-
ხავს და არც დაეძებს, რადგან ძველის გზისა
და მამა-პაპის ჩვეულების დაკარგვა, მის აზ-
რით, ძლიერ დიდი ცოდებაა. ღმერთმანი კარ-
გი ჰქუა. რა სჯობია მამაპაპის ცხოვრებას,



რომელსაც თავისი თავი გარეშემოუწერია და მმონავებელის ცრუმორწმუნეობით დაგაცივებული და ჩამქრალის სიკაცის ნაღვერდალზე გულს ითბობს? რა სჯობია იმას, რომ ის ერთ ჩაბერისა პირში და ენის შეძერის მაგიერათ, ჩვილს მოჰკლავს, მერე შეინახავს სამ დღეს ზეზე, და ისე დასაფლავებს! ამ ცხოვრებას ცხოვრება ვერა სჯობია, რადგან აქ არის დღე შვილი. აი სწორეთ აქ სრულდება მათი ანდაზა. ამას გარეთ ის ტყუილია. ძალი ბედნიერებისა და მხიარულებისთვის არის შექმნილი, და თუ უხედავთ ზოგიერთს უბედურებაში, ამის მიზეზი თვითონ კაცივე არის და არა მისი დანიშნულება. დანიშნულებამ რა ჰქნას, რომ კაცს თავისი თავი უბედურებისათვის, თვითონვე განუწირავს თავისივე უკულობის გამო! მინ არის დამნაშავე, თუ არა თვითონ კაცი, რომ იმას თავისი ცხოვრება გარეშემოუწერია ცრუმორწმუნეობით, თავის ცხოვრებისათვის შეუდგენია ისეთი კოლოფი კანონებისა, რომელნიც მას აუბედურებენ? კაცის უბედურების მიზეზი კაცთა საზოგადოების გაუნათლებლობა არის, და არა მისი დანიშნულება. ძალს აქვს ჩანერგილი ბუნებაში ბედნიერების ძეგნი. ამისთვის ყველა კაცს ბედნიერება ჰსურს თავის თავისათვის და მუდამ იმას ელტვის. ეს წადილი და ცხოვრება თუ იმას ეწინააღმდეგებია, ეს ამისთვის რომ ის გაუნათლებელია. ამ მიზეზისა გამო ის ყოველთვის თავის ბუნებით კანონების წინააღმდეგ მოქმედებს და სააკაოსევე ჯოჯოხეთში იწვის და იტანჯება. ამასვე ბევრს მოვასხენებლი მკითხველს უფრო გარკვევით, მაგრამ რა ექნა, რომ ერთ ანდაზისა არ იყოს, „პირი წყლით საესე მაქვს“. მიტყვი მხოლოდ იმას, ამ ჩემის აზრის შესამოწმებლათ, რომ კაცთა საზოგადოების ყოფა-ცხოვრებისათვის კაცისვე უკულობის გამო გამოქრალი ყალიბილამ გამოშველი, აუტანელი და უბედური ცხოვრება იცოდა ნეტარად მოსასხენებელმა პოეტმა შრიბოვლოვმა და ამისათვის თავის კამედიას დაარქვა: „მაი ჭკუისაგან.“ ინგილოების ამ გვარი ცხოვრებაც მართლაც კამედია არის, რისა გამო მეც მას მივბაძე და ამ სტატიის სათავეთ ეს სიტყვები ავიღე, რადგან ესენი ძლიერ კარგათ ახასიათებენ ცხოვრების მიმართულებას.

მანერის 1-ს მე მომიხდა მიცვალებულის დასასაფლავებლათ სოფელს ზაგანში წასვლა. მე დღის 12 საათზე იქ ჩამოვხდი მიცვალეზულის სახლში. მე იქ თითქმის არაინ დამხვდა კაცთაგანი, ორ სამ დღეა კაცის გარდა, რომელნიც პურს აცხობდნენ თანეში. მიცვალეზული უპატრონოთ შინ იდგა. ეს მე ძლიერ გამოვიკვირე, ამისათვის, რომ სიკვდილის თაობაზე, ინგილოებს აქვთ ჩვეულება—მიუპატიჟებლათ მისვლა მიცვალეზულის ოჯახში ყოველს მოკვდომის დღეს ორმოც დღემდე. აქ თითქმის მთელი სოფლის დედაკაცები და კაცები მიცვალეზულს მოთქმით ხმა მალლა დასტირია. მაგრამ აქ ესლა არაინ იყო. მე ამის მიზეზი ვიკითხე და აი რა პასუხი მივიღე: „ზაგანში ასი კომლი მცხოვრებია. ამათში ოთხი კომლი ქრისტიანი ვართ, სხვა ინგილოები მუსულმანები არიან. ამასთანავე ისინი ყველანი თითქმის არიან შემძლებელნი და მიღებულნი ხალხნი, ჩვენ კი ღარიბნი და ყველაში გამოარჩეულნი და თვითონ კომლს ცოლქმარნი შეადგენენ. ამ ოთხ კომლის ოთხი კაცი დილით აქ ვიყავით, მერე ერთი იმათგანი თქვენთვის გამოვგზავნე, მერევე სასაფლაოზე გავგზავნე სამარის მოსათხრელათ, მესამე კი დღე იქ სოფელში, — ერთი ორი ქართველი ქიზიყელი კაცები არიან მოჯამაგირეთ, რომ ისინი მოწვევით მცხედრის დასასაფლავებლათ. მეოთხე მე ვიყავ და აი მეც აქ ვარ. თუმცა ნახევარზე მეტია ამ სოფელში ჩემი ნათესავი, სთქვა მწარის ამოახვრით შემდეგ

მიცვალეზულის პატრონმა, მაგრამ ჩვენ მეც დარჩე ისინი არ მოდიან. ამისთვის ჩვენი ცხოვრება და მდგომარეობა ძლიერ ძნელდება ამათში. ჩემი ნათესავი ჩემ მიცვალეზულზე ამისთვის არ მოდის, რომ მე ქრისტიანი ვარ, ის მუსულმანია. ის ჩემ პურს არა სჭამს და ცოდვით რაცხს ჩემთან ლაპარაკს და კავშირს. მუსულმანების ამ გვარი ყოფა-ქცევა, მართლს ვიტყვი, ლახვარით ვაივლის ხოლმე ჩვენ გულში. ჩემი და, ძმა, ბიძაშვილი და სხვ, რომ არ მეკარებოდნენ ახლოს ამ გვარს ვანსაცდელში, ამაზე და დიდი ღვთის რისხვა იქმნება კაცისთვის! შეშინებულნი, რომ ინგილოებმა კული ხასიათი დაიჭირეს. ყურის მიუგდებლობამ, ისინი ძლიერ გააკუთდა. არ ვიცი რა გვეშველება: შესაბრალოსნი ვართ, მაგრამ არაინ კი გვიბრალვებს. დავრჩენილვართ ამ სოფელში ოთხი კომლი ქრისტიანთ და ამისთვის ყოველ გვარ უსიამოვნებას ვხედავთ აქაურს მუსულმანებისაგან.“

ამ ლაპარაკში ვიყავით, დაიძახეს: „მღვდელი, ახლა დრო არის მიცვალეზულისათვის წესის აგებისა.“ მე ავდექი და ლაპარაკი შეწყვიტა. მიცვალეზული ქიზიყელი ქალი იყო. ის მომკვდარ იყო ვაჟის მშობიარებაზე, მაგრამ შემდეგ შობისა. წესის აგებას რომ მოეჩინა, ეუბანე მისი მისევენება დასასაფლავებლათ; მაგრამ ერთმა მიპასუხა, რომ მცხედრის ამწვეი კაცები არ არიან. ამისა გამო მე ერთი ნახევარი საათი ვუცადე ზემოხსენებულს სხვაგან გავგზავნილს კაცების მოსვლას. ეს დღე იყო ნისლიანი, თბილი, ამისა გამო თოვლი გამდნარიყო და გზები ისე იყო ატლახიანი ბული, რომ, ვიდრე ოთხი კაცი ვერს ნახევარზე გაატარებდნენ იმას და ჩასვენებდნენ სამარეში, არ დაიჯერებთ, მათ პატიოსანს პირის სახეზე ოფლი წვიმასავით მოდიოდა. ხუმრობა ხომ არ არის შუა დედაკაცის ვერს ნახევარს გატარება, მერე იმისთანა დღეს, როდესაც ფეხი მთლათ ტალახში ეფლობოდა.

ამ გზამ მე მაგრძნობინა უფრო ღრმით ქრისტიანის ინგილოების მწუხარე მდგომარეობა. მე ბევრმა აზრმა გამიარა თავში და მათი ქრებინა, რომ ქრისტიანს ინგილოების ერთად შეკრეფა ძლიერ შეუძლებელია მათ უფარეს ცხოვრებას. ამასობაში მე მიბრწყინებდა თავში აზრები კაცობრიობის ცხოვრებაზე, ხალხობაზე, ჯალაბობის პატიოსანებაზე, ქრისტიანობაზე და მივიტოვდი მთელის ჩემის აზრებით და სურვილით, თუმცა ამათ, განახლებისადმი ინგილოების საზიზღარის ცხოვრებისა, რადგანაც ამით მე ვასრულდები იმ ჩემს იდეას, რომლისათვის მე მივიღე შეუფერებელი ჩემის უმცარის გონებისაგან ღირსება. ამასობაში უცრათმე წარმომიდგა წინ მსჯელობა ჩვენს რელიგიის დამფუძნებლისა და სურათი ინგილოების ცხოვრებისა. აი მაცხოვარმა რა სთქვა: „ჩემი მოწაფეები არ უნდა მოელოდნენ მშვიდობიანს ცხოვრებას. შეშინებულნი, მოტანილი ჩემგან ზეცილამ, მართალია, კაცს ქვეყნიერათა ბედნიერსა ჰყოფს, მაგრამ მამინ, როდესაც იმას მიიღებს უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა. მიღრე კი უმეტესობას სიკრუვის მტრობის და უსამართლოების მხარე უჭირავს და სიმართლეს არ დაქმებს, ჩემი ახალი სწავლა სიყვარულისა და თავგანწირულებისა, თუ ერთმა ორმა ის მიიღო, უთუოთ ხალხში მოახდენს ვაყრას, უთანხმობას და მტრობას.“ მე ამისათვის მოვედი, სთქვა იმან, რომ ცეცხლი ვაწვიმო ქვეყანას, და ახ, ნეტავი როგორ მსურს, რომ ის მართლაც ვადირუჯოს. მე ჩემის სისხლის დანთხევით უნდა დავამტკიცო ჩემი ქვეშაობა, და ახ, ნეტავი როგორ ვეწუხვარ, ვიდრე ეს ასრულდებოდეს. მანა ფიქრობთ, რომ მე მოვედი ქვეყნისათვის მშვიდობის მისაცემათ. გარწმუნებთ არა: მე განხეთქილება მოვიტანე ჩემის სწავლით. ამის

შემდეგ ხუთნი რომ ერთ სახლში ცხოვრებდნენ, განხეთქილებას მოახდენენ, სამი ორის წინააღმდეგ, ორი სამისა: მამა იქმნება წინააღმდეგ შვილისა, შვილი მამისა; — დედა ქალისა, ქალი — დედისა; დედამთილი წინააღმდეგ თავისი ძმისა, ძალი დედამთილისა; ძმა კიდევ ძმისა. ამ გვართ ჯალაბობის მწვერნი თვითონვე ერთმანერთის მტრნი განდებიან.“

აი ქვეშაობა, რომელსაც ემორწმუნება როგორათაც კაცობრიობაში ქრისტიანობის გავრცელების პირუთნებელი ისტორია, აგრეთვე ინგილოების ცხოვრება. მინ არ იცის რა საშინელის დაბრკოლებით ვრცელდებოდა ქრისტიანობა უწინ; ამ სიძნელესევე ვხედავთ ინგილოების მოქრისტიანებაშიაც. ამათშიაც იმ გვარი მტრობაა, იმ გვარია სურათი ცხოვრებისა, როგორც იწინასწარმეტყველა ქრისტიანობის მოთავემ, ინგილოს ერთი შვილი რომ მუსულმანი იყოს, მეორე ქრისტიანია, ერთი ძმა ქრისტიანია, მეორე მამადიანი, მამა ქრისტიანია დედა და შვილი მუსულმანი. მართის სიტყვით, ძრისტემ ისე სწორეთ იხილა მომავალი ცხოვრება ქრისტიანობისა, რომ მე ძლიერ მივიკირს, ამებებს რომ ვხედავ.

ამ გვარმა ფიქრებმა მე ისე დამაფიქვს მიცვალეზული, მისი დასაფლავება და დაბრუნება, რომ მე მოულოდნელათ, უცრათ ისევე იმ სახლში შევეცხტე. რა ვიხილე მე იქ? მქეცხლოდ ქიზიყელი დედაკაცი, კაცი და ყმაწვილები მოსულნი შემდეგ მიცვალეზულის მოსვენებისა. მსენი ძონძებში იყენენ გახეყულნი, მაგრამ ერთს თორმეტის წლის ყმაწვილს, წარმოიდგინე მკითხველო, იანერის პირველს საშინელს სიცივეში ერთი მიფხრევილ-მოფხრევილის პერანგის მეტი არაფერი ეცვა, და სიცივისაგან ნადგომ ალაგას ის საწყალი ცერცე-სავით მალლა-მალლა ხტებოდა. მსენი წინააღმდეგ სოფლებში მოსულიყენენ სათხოვენელათ. მათ ყველამ შენდობა აიღეს, და მე ამ დროს ვიკითხე მათი ვინაობა და ბინა. ჩემდა გასაკვირათ მე შევიტყე, რომ ეს ქართველების გუნდი ყველანი მიცვალეზულის მიმდებნი ყოფილან, ქიზიყს გამოჰქცვიან აქ მუცლის გასაძღომლათ და ცხოვრება ჰქონათ მიცვალეზულის სახლში. ამით მიზოვეს ინგილოს და თავიანთ სიძის სახლის განათვლა. მე თანახმა ვაგხდი, შევედი სახლში და ეუბანე ბადიათი წყალი მოეტანათ. წყლის მოტანა ცოტა არ იყო დაავიანეს. მე მომეცა დრო ქიზიყელების გუნდის სადგურ სახლისათვის თვალი გადამეგლო, რომელშიაც ისინი იბანაკებენ შემდეგ მათხოვარებისა. მე ვიდექი გასავალს და შემოსავალს კარებთან ახლო, მივიხედე კარებს უკან და აი რა ვიხილე: თავ-მოქრული ყმაწვილი, რომლის ლეში და თავი ცალ-ცალკე ეყარნენ. მე, რასაკვირელოა, გამომძიებელი არ ვიყავი, მაგრამ ძლიერ რომ გამოვიკირდა ეს სანახავი, მე პასუხი მოვთხოვე სახლის პატრონს, რა იყო მიზეზი ჩვილის თავის მოკვებისა. მე შევიტყე, რომ ეს ჩვილი გუშინ მკვდარი დაბადებულა, და „რადგან დედა ძლიერ შეწუხებულ იყო, სთქვეს აქ მყოფებმა, ამისთვის მას ბარით თავი მოკვებით და მანდ მივადეთო. ჩვენში ეს ასე იცინაო, როდესაც დედა ძლიერ შეწუხდება შემდეგ მშობიარებისა და ჩვილი მკვდარი დაიბადება, რომ რა არის ავთ-მყოფს ვმეგლოსო. თუ ასე არ მოვიქცეთ, ის დედას უთუოთ თავის თავს ანაცვალვებს.“ მამ ამის დედა რაღათლა მოკვდა, თუ თქვენი მორწმუნება მართალია, ეუბასუხე მე. — მე ახლა ღვთის საქმე არისო, და მისგან მოვლინებულს სიკვდილს წინ ვინ ვადუდებო, მიპასუხეს.“ მე უბედურის მამას ბოლოს და ბოლოს გაურისხდი და შეენიშნე: „რაც გინდ იყოს, დღეს ეს შავ ბედი შენი შვილია, თუ გული არ შეგიშფოთდა ამ უბრალოსათვის თავის მოკვებაში ცოლის სიყვარულისა გა-

მა, ესლა მანც, როდესაც მისი თავის მოკვებამ შენ ცოლს სიკვდილს მიიწიქა, გული როგორ არ გიშფოთავს, არ კრთები, მიგიგდია კარებს უკან და ზედ დაჰყურებ. შენი მამობა შენ ვალსა გდებს, რომ ის ესლავე დასაფლავო. შენთვის კარგი არ არის და სირცხვილია ამისი ასე გაუპატიერ“. მან თავი იმართლა იმით, რომ მას სამი ცოლი მოჰკვდომია და აი დღეს მათმა სიკვდილმა მას ყველაფერი დააფიქვა. მას თავში ჭკუა აღარა აქვს: „მე შეშლილს კაცსა ვგეგარ, სთქვა იმან, მე ამის შემდეგ უბედური ვარ, მე ქრისტიანობის კანონით ცოლი აღარ მერგება და არც მოადგილე მყავს, არეცი რაღა ვმეველება ჩემს თავს. მუსულმანი რომ ვიყო, დარდს არ გავწვედი, კიდევ ცოლი მერგებოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ მე ქრისტიანი ვარ.“ ამ გვარმა ფიქრებმა მე დამაფიქვს მამობრივი ვალიც და ჩემი თავიც და ჩვილი ვიდასლა მოსდიოდა უურ ქვეშ. — მე ცხადათ ვიხილე, რომ ჩემი დიდი გონიერება მის მართლის უგუფურებასთან ულონო არს, დაეღუძი. აბა რაღა მეტქმოდა მის თავის გამართლებას, როდესაც მან ესენი სთქვა!

ჩვენი ლაპარაკი ამით გათავდა. მე სახლი განათლე, შევეჯექ ცხენზე და წამოველ შინ, მტოცე განზრახვით, დამეწყო ამ ცრუმორწმუნეობის გამოკვლევა და საფუძვლიანათ შეტყობა. მადლობა ღმერთს სურვილიც ამის რულა. მე ის დაწერილებით შევიტყე.

(შემდეგი იქნება).

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ქუთაისში, შ. ბ. ძალანდარი-

შვილთან და ხელთუფლიშვილის მაგაზინში იყიდება შემდეგი წიგნები:

მართული ანბანი და პირველი საკითხანი წიგნი, შედგენილი **ი. ბოგებაშვილისაგან**; ფასი ხუცური ანბანით, სამი შაური.

ანბანი ძველის დროების ხალხებზე. 1 ნაწილი, ფასი სამი შაური.

თ. ბიორგი პრისტავის თხზულება, ავტორის პარტრეტით, ფასი 1 მანეთი.

საქართველოს ძალანდარი, შედგენილი **ნ. ავალიშვილისაგან**. ფასი ათი შაური.

მეფის ტახტისანი. ახლად დაბეჭდილი იყიდება ტფილისში ალადათოვისა, ბერძნულ-ტამისა და მნფიჯიანის საწიგნო მაგაზინებში. აგრეთვე მელიქიშვილის და კამ. სტამბაში. ფასი ათი შაური.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა: ძართული ანბანი და პირველი საკითხანი წიგნი მოსწავლეთათვის იაკობ ბოგებაშვილისა. მეორე გამოცემა. ფასი ორი შაური.